ანნა მ. კვიატკოვსკა

ჩემი ინტერნეტი

როგორ შეუძლია ინტელექტუალური დარღვევის მქონე პირს ისარგებლოს ინტერნეტით

Attribution-NonCommercial-ShareAlike 4.0 International (CC BY-NC-SA 4.0)

საქართველო, Georgia, 2017

შინაარსი:

რა არის ინტერნეტი?	3
www ვებ-გვერდი	4
– ბრაუზერი	4
– ლინკები	5
– ქუქი- (მცირე ზომის ფაილი)	6
– რეკლამა	6
– საძიებო სისტემა	6
– სადისკუსიო ფორუმი	7
ელექტრონული ფოსტა	9
სოციალური პროგრამები	10
– Facebook ფეისბუკი	10
– Instagram ინსტაგრამი	11
– Twitter თვითერი	12
– YouTube იუთუბი	12
მესენჯერი	13
– სმაილები	14
ყიდვა ინტერნეტის მეშვეობით	15
– ფასების შედარება	16

რა არის ინტერნეტი?

ინტერნეტი გვაძლევს საშუალებას, დავუკავშირდეთ სხვადასხვა კომპიუტერს მთელ მსოფლიოში. დაკავშირება შეიძლება მხოლოდ იმ კომპიუტერთან, რომელიც ინტერნეტშია ჩართული. ინტერნეტის მეშვეობით შეიძლება ვესაუბროთ მეგობრებს, გავგზავნოთ ელექტრონული წერილები, გამოვიყენოთ სხვადასხვა საბუთები და ინფორმაცია.



ყველა კომპიუტერი, პლანშეტი ან სმარტფონი, რომლითაც გინდა, შეხვიდე ინტერნეტში, უნდა იყოს დაკავშირებული ინტერნეტთან. მოწყობილობა შეიძლება ჩაირთოს ინტერნეტში კაბელით ან უკაბელო დაკავშირებით.

უკაბელო დაკავშირებას ინტერნეტთან ჰქვია **WiFi (ვაიფაი)**. თუ გაქვს WiFi კომპიუტერში, პლანშეტსა ან სმარტფონში, შეგიძლია დაუკავშირდე ინტერნეტს ყველგან, იქ სადაც არის WiFi.

WiFi შეიძლება გქონდეს სახლში, კაფეში, სავაჭრო ცენტრში, ქალაქის ცენტრში, სასტუმროში. ზოგჯერ ინტერნეტში შესვლა WiFi-ს მეშვეობით არის შესაძლებელი მხოლოდ იმათთვის, ვინც იცის პაროლი.

ვებ-გვერდი www

ხშირად ინტერნეტში შევდივართ ვებ-გვერდებზე www.



ეკრანზე ჩანს სურათები, ტექსტი, ფილმები რომელიმე თემაზე. მაგალითად, შეიძლება იყოს ვებ-გვერდი რომელიმე ფირმის ან ორგანიზაციის შესახებ – სად მდებარეობს, რას საქმიანობს, ვინ არის დასაქმებული.

შეიძლება იყოს ასევე ვებ-გვერდი, სადაც მოცემულია ახალი ამბები. შეიძლება იყოს საყვარელი სპორტული გუნდის გვერდი სურათებითა და ინფორმაციით. შეიძლება ასევე იყოს ვებ-გვერდი, რომელზეც მოცემულია განცხადებები თავისუფალი სამუშაო ადგილების შესახებ.

www - შემოკლებით ინგლისური სიტყვების world wide web, ანუ მსოფლიო ქსელი.

ქსელი – ვინაიდან ინტერნეტში ხელმისაწვდომი გვერდები არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, ერთი გვერდიდან ადვილად შეიძლება მეორეზე გადასვლა. **მსოფლიო** - იმიტომ, რომ ვებ-გვერდებზე შესვლა შესაძლებელია მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან.

www ვებ-გვერდზე შედიხარ **ბრაუზერით**.
ყველაზე პოპულარული ბრაუზერებია:

– Mozilla Firefox

– Google Chrome

– Internet Explorer, რომელიც ახალ სისტემებში შეანაცვლა ბრაუზერმა **Edge** (იკითხება: ეჯ).

იმისთვის, რომ შევიდეთ ვებ-გვერდზე, უნდა მოვძებნოთ კომპიუტერის ეკრანზე ბრაუზერის აიკონი და დავაჭიროთ ორჯერ. იმისთვის, რომ შეხვიდე ვებგვერდზე, უნდა იცოდე გვერდის მისამართი. მისამართი უნდა ჩაწერო მისამართის ფანჯარაში. მისამართის ფანჯარა - ეს არის ბრაუზერის თეთრი ზოლი ზედა ნაწილში. მაგალითად, შეიძლება ჩაიწეროს ასოციაციის ვებ-გვერდის მისამართი **www.psouu.org.pl**



ზოგჯერ ინტერნეტში მოცემულია სხვა ვებ-გვერდის მისამართი, მაგრამ ეს მისამართი არ ჩანს. მისამართის ნაცვლად შეიძლება იყოს დაწერილი: **გადადი აქ, მეტი ინფორმაციაა**, ან სხვა ინფორმაცია. ტექსტის ნაცვლად შეიძლება იყოს სურათი. დაჭერის შემდეგ ტექსტზე ან სურათზე გადახვალ სხვა ვებ-გვერდზე.

სხვა ვებ-გვერდზე გადამყვან ტექსტს ან სურათს ჰქვია ლინკი. თუ ტექსტის ან სურათის ქვეშ დამალულია ლინკი, ეს ტექსტი ან სურათი განსხვავდება დანარჩენი შინაარსისგან. ლინკი ყოველთვის არის ხაზგასმული. **ძალიან ხშირად ლინკიც იისფრად არის აღნიშნული.** როდესაც მაუსით მიუახლოვდები, ისრის მაგივრად ჩნდება საჩვენებელი თითი. ლინკების მეშვეობით, ინტერნეტში ყველა ვებ-გვერდი ქმნის ქსელს.

უმრავლესი ვებ-გვერდი ტოვებს ინფორმაციებს შენს კომპიუტერში. ზოგჯერ შენ ტოვებ კითხვებზე პასუხებს ვებ-გვერდზე. მაგალითად, შენი სახელი. სახელს იმახსოვრებს იმისთვის, რომ შემდეგ შესვლისთანავე მოგესალმოს სიტყვებით: მოგესალმები ანა/მაგდა/ანდრო.

ეს ინფორმაციები იწერება ფაილებში, რომელსაც ჰქვია ქუქის, ინგლისურად cookies (იკითხება: **ქუქის**).

როდესაც პირველად შედიხარ ვებ-გვერდზე, რომელიც იყენებს ქუქისს, ჩნდება ინფორმაცია ამის შესახებ. იწერება, რომ ვებგ-ვერდი იმახსოვრებს ქუქისებს.

უნდა აღნიშნო, რომ იცი ამის შესახებ და ამ გვერდზე ის ინფორმაცია მომავალში აღარ გაჩნდება.

ინტერნეტში უამრავ ვებ-გვერდზე ჩნდება **რეკლამები**. სხვადასხვა ნივთების რეკლამა ხშირად უბრალოდ სურათია, შეიძლება იყოს მოძრავი.



რეკლამაზე დაჭერის შემდეგ გადადიხარ რეკლამირებული პროდუქტის ვებ-გვერდზე. ხშირად ჩნდება რეკლამა, რომელიც ვებ-გვერდის ნაწილს იკავებს. უნდა გამორთო ის. თუ არ ხარ დაინტერესებული რეკლამით, არ უნდა დააჭირო რეკლამას.

ინტერნეტში მილიარდი ვებ-გვერდია. იშვიათია, როდესაც ვიცით მისამართი, რომელზეც გვინდა შესვლა. არ უნდა ვიცოდეთ ზეპირად ყველა საჭირო ვებ-გვერდის მისამართი. შესაბამისი გვერდის მისამართის ძიებაში გვეხმარება **საძიებო სისტემა**.

საძიებო სისტემაში უნდა ჩაწერო ის, რასაც ეძებ ინტერნეტში. მაგალითად, გეგმავ პარიზში გამგზავრებას და გინდა წაიკითხო პარიზის შესახებ. საძიებო სისტემაში უნდა ჩაწერო: პარიზი. გაიხსნება ვებ-გვერდების სია, რომელიც დაკავშირებულია პარიზთან.



საძიებო სისტემაში უნდა ჩაწერო მაგალითად, კითხვა: როგორ გამოვიყენოთ ბლენდერი?

ან: როგორ ვთქვა მიყვარხარ ფინურ ენაზე?

გაიშლება ვებ-გვერდების მისამართების სია, სადაც შეიძლება მოიძიო შენს კითხვაზე პასუხი. სიაში იქნება ვებ-გვერდების ლინკები. შეგიძლია დააჭირო და გადახვიდე ამორჩეულ გვერდზე.

ყველაზე პოპულარული არის

– Google www.google.pl

– Bing www.bing.com

სადისკუსიო ფორუმი წარმოადგენს ვებ-გვერდის სახეობას, რომელზეც ხდება საკუთარი აზრის გამოთქმა, კითხვის დასმა. ზოგიერთი ინტერნეტის მომხმარებელი უბრალოდ კითხულობს ამ კითხვა-პასუხებს, ზოგი კითხვებს სვამს, ზოგი პასუხობს ან ტოვებს კომენტარს. ასე ჩნდება დისკუსია ფორუმზე.

თითოეულ ფორუმს აქვს განსაზღვრული თემა.

მაგალითად: კატები. ან პრობლემები კომპიუტერთან. ან შშმ პირთა საკითხები.

ფორუმი შეიძლება დაყოფილი იყოს თემებზე.

მაგალითად, ფორუმზე კატების შესახებ, შეიძლება მოიძიო ინფორმაცია კატების კვების შესახებ, მათ დაავადებებსა ან ახალგაზრდა კატებზე.

ფორუმი უნდა იყოს მოცემულ თემაზე.

თუ ვინმე არ წერს თემაზე, შეიძლება ფორუმის სხვა მომხმარებლებმა მისცენ შენიშვნა, ფორუმის ადმინისტრატორს შეუძლია, დაბლოკოს ასეთი მონაწილე. ასეთ შემთხვევაში, ის უკვე ვერაფერს ვერ დაწერს ფორუმზე.

ყველა ახალ დისკუსიას ან კითხვას ეძლევა ახალი თემის **სათაური**. არასდროს დასვა კითხვა ფორუმზე, სანამ არ შეამოწმებ, იყო თუ არა ეს კითხვა უკვე დასმული. არ დაიწყო სხვა თემა, სანამ არ გადაამოწმებ არის თუ არა მსგავსი საკითხი უკვე განხილული ამ ფორუმზე.

ყველა ფორუმზე არის საძიებელი სისტემის ფანჯარა. ჩაწერე ფანჯარაში ის, რაც გაინტერესებს და დააჭირე Enter-ს. გაიშლება თემების სია, რომელთა სათაურში არის შენს მიერ ჩაწერილი სიტყვა.

ელექტრონული ფოსტა

ვებ-გვერდების დათვალიერების გარდა შეიძლება, გამოიყენო **ელექტრონული ფოსტა**, რომელსაც ეძახიან e-mail (იკითხება: ი-მეილ).

ეს ინგლისური სიტყვაა და არის შემოკლება:

e–lectronic–**mail**.

ელექტრონული ფოსტით ვაგზავნით და ვიღებთ ელექტრონულ წერილებს, mail (ი-მეილებს).

იმისთვის, რომ გაგზავნო წერილი, უნდა გქონდეს გახსნილი ფოსტა რომელიმე საფოსტო პროგრამაში.

შეიძლება იყოს: – **gmail,** (იკითხება: ჯი-მეილ)

ვებ-გვერდის მისამართი: **www.gmail.com**

– **ვირტუალური პოლონეთი**,

ვებ-გვერდის მისამართი:: **www.poczta.wp.pl**

– **Onet**ონეტ,

ვებ-გვერდის მისამართი: **www.poczta.onet.pl**

და მრავალი სხვა.

იმისთვის, რომ გაგზავნო ელექტრონული წერილი, უნდა იცოდე იმ ადამიანის ელექტრონული მისამართი, ვისაც უნდა მისწერო. და თუ შენ გინდა, რომ მოგწერონ, უნდა მისცე შენი ელექტრონული ფოსტის მისამართი.

ელექტრონული ფოსტის მისამართი შედგება 3 ნაწილისგან:

– **მომხმარებლის იდენტიფიკატორი**– იგონებს თვით მომხმარებელი, ანუ შენ თვითონ. შეიძლება იყოს სახელი და გვარი, შეიძლება დაწერო ერთად ან დასვა წერტილი სახელსა და გვარს შორის. შეიძლება ზედმეტი სახელი იყოს.

– **ნიშანი** @ (ინგლისურად - ეტ - et, პოლონურად ამ ნიშანს ჰქვია მალპა)

– **ფოსტის პროგრამის მისამართი**.

მაგალითად, იან კოვალსკი ხსნის ფოსტას gmail-ზე, მისი მისამართი შეიძლება ასეთი იყოს:

jan.kowalski@gmail.com

და თუ იან კოვალსკის აქვს ზედმეტი სახელი - ბრახუ, შეუძლია ასეთი მისამართი მოიგონოს:

brachu@gmail.com

სოციალური პროგრამები

Facebook (იკითხება: ფეისბუკი) ეს პორტალია, სადაც შეგიძლია შენს შესახებ დაწერო და წაიკითხო, რას წერენ სხვები საკუთარი თავის შესახებ.

ფეისბუკის მისამართია: **www.facebook.com**

ფეისბუკზე დაწერილ და გამოქვეყნებულ ინფორმაციას ჰქვია პოსტი. ტექსტის გარდა შეიძლება გამოქვეყნდეს სურათები, ფილმები, სხვა გვერდების ლინკები.

პოსტები შეიძლება იყოს ნებისმიერ თემაზე. შეგიძლია დაწერო, თუ რამე საინტერესო მოხდა შენს ცხოვრებაში. მთავარია არავის მიაყენო შეურაცხყოფა. ასევე გახსოვდეს, რომ ნამდვილი შეხვედრა არის მეტად მნიშვნელოვანი, ვიდრე აღწერა ფეისბუკზე.



ბევრ ადამიანს აქვს პროფილი ფეისბუკზე. შენი პროფილის გახსნის შემდეგ, შეგიძლია მოძებნო ის პირები, რომლებსაც იცნობ. შეგიძლია მოძებნო ნათესავები, მეზობლები, მეგობრები და ნაცნობები. საძიებელ ფანჯარაში ჩაწერე სახელი და გვარი.

როდესაც მოძებნი იმას, ვისაც ეძებდი, უნდა დაიმეგობრო. უნდა დააჭირო შესაბამის ღილაკს.

შენც შეიძლება ვინმემ გთხოვოს თანხმობა დამეგობრებაზე. ასე, ფეისბუკზე ჩნდება მეგობრების ქსელი. შენ ავტომატიურად ნახავ, თუ რას აქვეყნებს შენს მიერ დამეგობრებული ფეისბუკის მომხმარებელი.

ნაცნობებს შეუძლიათ დატოვონ კომენტარი შენს პოსტებზე. თუ პოსტი მოგწონს, შეგიძლია, მოიწონო. სიტყვა **like** (იკითხება: ლაიკ) ინგლისურად ნიშნავს „მომწონს“.

ფეისბუკზე შეიძლება სხვადასხვა შესაძლებლობები გამოიყენო. მაგალითად, შეგიძლია დაბლოკო ის, ვინც შეურაცხყოფას გაყენებს. შეიძლება დაწერო პოსტი და გამოაქვეყნო ისე, რომ ჩანდეს მხოლოდ შენს მიერ ამორჩეული ადამიანებისთვის.



Instagram (ინსტაგრამ) პორტალია, რომელზეც შეიძლება გამოაქვეყნო ფოტოები და ფილმები. შეგიძლია გამოაქვეყნო შენი სელფი. selfie (იკითხება: სელფი) ან იმავე წუთში გადაღებული სურათი. ინსტაგრამზე შეგიძლია დაათვალიერო სხვების სურათები და დაწერო კომენტარი. კომენტარის დატოვება ნიშნავს იმის დაწერას, რასაც ფიქრობ სურათის შესახებ.

თუ იყენებ სმარტფონს, შეგიძლია დააინსტალირო აპლიკაცია, რომელიც გადაღებისთანავე განათავსებს ინსტაგრამზე გადაღებულ სურათებს.

ინსტაგრამის მისამართი: **www.instagram.com**

იმისთვის, რომ ისარგებლო ინსტაგრამით, უნდა დარეგისტრირდე - გაიხსნა პროფილი.

Twitter (ტვითერ) ეს პორტალია, რომელზეც იწერება მოკლე შეტყობინებები. შეტყობინება თვითერზე არ შეიძლება იყოს 160 ნიშანზე მეტი. აქაც შეიძლება განათავსო სურათი ან საინტერესო გვერდის ლინკი. თვითერზე ხალხი წერს იმას, თუ რა ხდება მათ ცხოვრებაში იმ მომენტში. ზოგჯერ აკეთებენ კომენტარს პოლიტიკური მოვლენების შესახებ. ზოგჯერ წერენ კატასტროფების შესახებ.

თვითერის ყველა მომხმარებელს შეუძლია, აირჩიოს პროფილები, რომელსაც ათვალიერებს. ამ დროს ხედავს რას წერენ, შეუძლია თვითონაც დაწეროს კომენტარი. აკრძალულია შეურაცხყოფა.

თვითერის მისამართი არის **www.twitter.com**

Twit ინგლისურად ნიშნავს ჭიკჭიკს.

YouTube (იკითხება: იუთუბ) პორტალია, რომელზეც ქვეყნდება ფილმები. ფილმები შეიძლება იყოს სხვადასხვა თემაზე. იუთუბზე ძალიან ბევრი ტელედისკია. შეიძლება ასევე ფილმის მოძიება, თუ ჩავწერთ ფილმის სახელს საძიებო ფანჯარაში.

შეიძლება ყველა ფილმის კომენტარის დატოვება.

იუთუბის მისამართი: **www.youtube.com**

მესენჯერი

სხვა პირთან, ინტერნეტის მეშვეობით, უშუალო საუბრებისთვის გამოიყენება **მესენჯერი**.

ეს არის პროგრამა, რომელიც გაძლევს საშუალებას დაუკავშირდე იმ ადამიანს, რომელსაც გინდა გაესაუბრო.



მესენჯერის მეშვეობით შეგიძლია:

– **დაწერო შეტყობინება**,
რომელიც მაშინვე გაჩნდება მეორე ადამიანის კომპიუტერის ეკრანზე. მას შეუძლია იმ წუთშივე პასუხის გაცემა.

– **გაესაუბრო**,
ამისთვის საჭიროა მიკროფონი, დინამიკები ან ყურთსასმენები, რომელიც შეერთებულია კომპიუტერთან.

– **ჩაერთო ვიდეოსაუბარში**,
შეძლებ არა მარტო დაელაპარაკო მესაუბრეს, არამედ ნახო ის. ამისთვის საჭიროა კამერა ან მობილური ტელეფონი ფილმების ჩაწერის შესაძლებლობით.

– **გაესაუბრო რამოდენიმე ადამიანს ერთდროულად**.

– **გადაგზავნო ფაილები**, მაგალითად, სურათები.

– **ჩაწერო ახალი ამბები** და გადაგზავნო.

მესენჯერით დალაპარაკება პირთან, რომელიც შორს იმყოფება, ბევრად უფრო იაფია, ვიდრე სატელეფონო საუბარი. თუ იყენებ უფასო WiFi-ს, მაშინ თუნდაც ამერიკაში მყოფ ადამიანთან საუბრობ უფასოდ.

პოპულარული მესენჯერები არის:

– **Gadu–Gadu** (**გადუ-გადუ**)

– **Skype** (იკითხება: სკაიპი)

– **Viber** (იკითხება: ვაიბერი)

– **WhatsApp** (იკითხება: ვოტსაპი)

იმისთვის რომ გამოიყენო WhatsApp და Viber უნდა გქონდეს მობილური ტელეფონი და გააქტივებული ნომერი.

Whats App უფასოა მხოლოდ ერთი წელი, მერე უნდა იხადო.

სკაიპის და გადუ-გადუს სარგებლობისათვის უნდა გახსნა შენი ანგარიში.

უნდა იცოდე ადამიანის ანგარიშის სახელი, რომელსაც გინდა რომ გაესაუბრო.

:-)	uśmiech
:-(	smutek, zmartwienie
:-D	śmiech
;-)	mrugnięcie okiem
:-o	zdziwienie

მესენჯერის მეშვეობით ძალიან პოპულარულია ტექსტური გზავნილები, მაგრამ ყველაფერს ასეთი გზით ვერ გადმოსცემ. შეგიძლია, მხოლოდ წაიკითხო დაწერილი შინაარსი. ვერ ნახავ სევდას სახეზე, ვერ გაიგებ სიცილს. ამიტომ შეტყობინებებში იყენებენ **სმაილებს**.

ეს არის ნიშნები, რომლებიც ასახავენ გრძნობებს.

იწერება კლავიატურის ნიშნების გამოყენებით.

მაგალითად, ღიმილი შედგება ორი წერტილისგან, ტირე და მარჯვენა ფრჩხილისგან.



როგორ წავიკითხოთ სმაილები?

იმისთვის, რომ გავიგოთ რას ნიშნავს სმაილი, უნდა გადავაბრუნოთ ის მარჯვენა მხარეს. დახატე კალმით ერთ ზოლზე ორი წერტილი, ტირე და მარჯვენა ფრჩხილი. ახლა მოაბრუნე მარჯვნივ. რას ხედავ? ორი წერტილი - ეს თვალებია, ტირე- ცხვირი, ფრჩხილი კი - გაღიმებული პირი. მთელი სახე გაღიმებული. თუ ტექსტი, რომელსაც უგზავნი არის ხუმრობა, დაწერე სმაილი ჩაკრული თვალით ;–)

საყიდლები ინტერნეტში

ინტერნეტში შეიძლება საყიდლების გაკეთება. არის ისეთი ვებ-გვერდები, რომლებიც მიეკუთვნებიან მაღაზიებს. ამ ვებ-გვერდებზე შეგვიძლია ვნახოთ, რა იყიდება იმ მაღაზიებში. ასეთ ვებ-გვერდებს ეძახიან **ინტერნეტ-მაღაზიებს** ან **ე-მაღაზიებს**.

მაღაზიის ვებ-გვერდზე შეიძლება ვნახოთ საქონელი, ფასი. თუ გვინდა ვიყიდოთ ის, რაც მოგვეწონა, უნდა დავაჭიროთ ყიდვის ან მსგავსი შინაარსის ღილაკს.

ყველა საჭირო ნივთის არჩევის შემდეგ უნდა დაადასტურო შეკვეთა.

გახსოვდეს, რომ ინტერნეტში მოცემულ ფასებს მაღაზია დაუმატებს შენთან გამოგზავნის ხარჯებს.

მაღაზია გამოგზავნის საყიდლებს, როდესაც მიიღებს საბანკო ანგარიშზე გადმორიცხულ თანხას. ნაყიდ საქონელს გამოგზავნის ფოსტით ან კურიერით.

შეიძლება, ნაყიდი საქონელი არ მოგეწონოს. უფლება გაქვს, დააბრუნო ის 2 კვირის განმავლობაში. არ შეგიძლია ისარგებლო დასაბრუნებელი საქონლით. მიღებული ამანათი უკან უნდა გაუგზავნო მაღაზიას. გადახდილი თანხა უკან დაგიბრუნდება.

იყიდე მხოლოდ სანდო მაღაზიებში, რომელიც გირჩიეს ნაცნობებმა. ინტერნეტში ბევრი თაღლითია. ხსნიან მაღაზიას, შენ ყიდულობ, იხდი ფულს და ნაყიდ საქონელს არ ღებულობ. ფული იკარგება. მაღაზია ქრება. ასეთ შემთხვევაში, აუცილებლად უნდა მიმართო პოლიციას.

ზოგჯერ იცი, რაც გინდა იყიდო, მაგრამ არ იცი, რომელ ინტერნეტ-მაღაზიაში შეგიძლია იყიდო და არ იცი, სად არის უკეთესი ფასი. ამ შემთხვევაში შეგიძლია, ისარგებლო **ფასების შედარების** პროგრამით. ფასების შედარებისათვის უნდა შეხვიდე სპეციალურ ვებ-გვერდზე. როდესაც ჩაწერ იმ საგნის სახელს, რომლის ყიდვაც გინდა, ჩნდება იმ ინტერნეტ-მაღაზიების სია, სადაც შეგიძლია იყიდო ეს ნივთი. ასევე მოცემულია ფასები მაღაზიების შესაბამისად. შეგიძლია შეხვიდე ამორჩეულ მაღაზიაში და იყიდო.

ყველაზე პოპულარული ვებ-გვერდები ფასების შედარებისათვის:

– **Ceneo**, მისამართი: www.ceneo.pl

– **Skąpiec**, მისამართი: www.skapiec.pl

– **Nokaut**, მისამართი: www.nokaut.pl